

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს "წყალტუბო პლაზა"			
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2019	31.12.2018	
აქტივები			
მიმდინარე აქტივები, სულ:	72394	446716	
ფულადი სახსრები	3629	12041	3.1
მოკლევადიანი სესხები		279960	3.2
სავაჭრო მოთხოვნები	22819	72263	3.3.
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1916	2721	
მარაგები	38159	74382	3.4
წინასწარ გადახდილი გადასახადები		340	
სხვა მიმდინარე აქტივები	5871	5009	3.5
გრძელვადიანი აქტივები, სულ:	6528183	6367808	
ძირითადი საშუალებები	6459571	6336059	3.6
ბიოლოგიური აქტივები		3666	3.7
არამატერიალური აქტივები	68612	28083	3.8
სულ აქტივები:	6600577	6814524	
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:	396426	3881348	
სავაჭრო ვალდებულებები	108932	116132	3.9
მოკლევადიანი სესხები	164925	3645641	3.10
საგადასახადო ვალდებულებები	3644		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	118925	119575	3.11
გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:	4426224	395835	
გრძელვადიანი სესხები	4426224	369727	3.12
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები		26108	3.13
სულ კაპიტალი:	1777927	2537341	3.14
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	7523853	7523853	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-5745926	-4986512	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6600577	6814524	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.			
დირექტორი _____	გიორგი ორთოიძე		
თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს "წყალტუბო პლაზა"					
მოგება–ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება					
			ერთეული: 1 GEL		
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა		
	2019	2018			
ამონაგები	2153295	2220694			
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2153295	2220694			
სხვა საოპერაციო შემოსავლები	77492				
სულ საოპერაციო შემოსავლები:	2230787	2220694	3.15		
მიწოდების ხარჯები	101006	45726	3.16		
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	267897	395267	3.17		
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	1845276	1653913	3.18		
სულ საოპერაციო ხარჯები:	2214179	2094906			
საპროცენტო შემოსავალი	16452	14586	3.19		
დადებითი საკურსო სხვაობები	221641	29692			
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		553			
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	238093	44831			
საპროცენტო დანახარჯები	481772	404494	3.20		
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	2726				
უარყოფითი საკურსო სხვაობები	528645	141449			
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	972	8614			
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	1014115	554557			
მოგება დაბეგვრამდე:	-759414	-383938			
მოგების გადასახადის ხარჯი					
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	-759414	-383938			
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	-759414	-383938			
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2537341	2921279			
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა					
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):					
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში					
კაპიტალის სხვა ცვლილებები					
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1777927	2537341			
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.					
დირექტორი _____			გიორგი ორთოიძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.					

შპს „წყალტუბო პლაზა“-ს

ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

შპს "წყალტუბო პლაზა"		
ფულადი ნაკადების ანგარიშგება		
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)		
	ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ფულადი ნაკადები ს ა ო პ ე რ ა ც ი ო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2503765	2479809
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან		42741
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	-1276565	-834118
გაცემული შრომის ანაზღაურება	-549110	-537112
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება		-1284
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	-442342	-449924
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-32963	-77205
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	202785	622907
ფულადი ნაკადები ს ა ი ნ ვ ე ს ტ ი ც ი ო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-266947	-78290
მიღებული პროცენტები		99
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-266947	-78191
ფულადი ნაკადები ს ა ფ ი ნ ა ნ ს ო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	4821112	669975
სესხების დაფარვა	-4318771	-841614
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა		-26296
გადახდილი პროცენტები	-447816	-373826
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		16
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	54525	-571745
ვ ა ლ უ ტ ი ს კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	1225	1123
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	-8412	-25906
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	12041	37947
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3629	12041
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.		
დირექტორი _____	გიორგი ორთოძე	
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.		

2019 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „წყალტუბო პლაზა“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2013 წლის 10 ოქტომბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 421269512, იურიდიული მისამართი - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა. ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია შპს „მგ კომპანია“ (ს/ნ 204854327), რომლის 100%-იანი წილის მფლობელია ფ/პ თეიმურაზ ორთოიძე (პ/ნ 01011004858).

1.3. კომპანიის დირექტორია გიორგი ორთოიძე (პ/ნ 01017019069).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა სასტუმრო მომსახურება.

კომპანიის დამატებით (არაძირითად) ეკონომიკურ საქმიანობას წარმოადგენს სესხის გაცემა, ასევე, სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით.

კომპანია ძირითად საქმიანობას ახორციელებს ერთ ლოკაციაზე - საქართველო, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N 15ა.

1.5. კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა 2019 წელს შეადგენდა 87 კაცს. ბუღალტრულ აღრიცხვას ხელშეკრულების საფუძველზე აწარმოებს მომსახურე აუდიტური ფირმა.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

საქართველოს ბიზნეს-გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში და მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები. საქართველოში მოქმედი საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას. განვითარებადი ქვეყნისთვის დამახასიათებელია ხშირი საკანონმდებლო ცვლილებები, რაც ხშირად წარმოშობს საკითხებს, რომლებიც განსხვავებულად ინტერპრეტირდება სახელმწიფო ორგანოებისა და საქართველოში მოქმედი კომერციული კომპანიების მხრიდან.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს შსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები ყოველწლიურად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით. შემოსავლები აღიარდება, როდესაც არსებობს სარწმუნო მტკიცებულებები, როდესაც მყიდველს გადაეცემა მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების უფლება საქონელზე, გაწეულია გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯები და საიმედოდ შეფასებულია საქონლის შესაძლო უკან დაბრუნება.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის აღიარება 3 წელზე უფრო ნაკლებ ვადაში.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება (გარდა მცირევადიანი ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებებისა) ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ეფექტური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

მოთხოვნები საქმიანობიდან და სხვა მიმდინარე მოთხოვნები

მოთხოვნები წარმოადგენენ ყველა მიმდინარე მოთხოვნებს მომსახურებიდან და მიწოდებიდან, წინასწარ გადახდილ გადასახადებსა და წინასწარ გაწეულ ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა დებიტორული მოთხოვნების აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების დანაკარგი. დებიტორული

დავალიანების გაუფასურების დანაკარგი ჩამოყალიბებულია, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის შეგროვებას მისაღები მოთხოვნების მიხედვით.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში რეზერვში ცვლილებების ოდენობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშებზე. ნებისმიერი მოთხოვნის ჩამოწერის ასახვა ხდება არსებული საექვო მოთხოვნების რეზერვის ანგარიშზე. ყველა სავაჭრო მოთხოვნა, პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება-ზარალში.

აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივი შეფასდება ყოველ ანგარიშგების დღეს იმ მიზნით, რომ განისაზღვროს არსებობს თუ არა მისი გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ფინანსური აქტივი ჩაითვლება გაუფასურებულად იმ შემთხვევაში, თუ ობიექტური მტკიცებულებით ნაჩვენებია აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდგომ ზარალის შემთხვევა, რაც შესაძლებელია უარყოფითად აისახოს აღნიშნული აქტივის სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებაში, რაც ფასდება საიმედოდ.

ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში, ასევე აქვს სხვა ხარჯები, რაც არ უკავშირდება მის ძირითად საქმიანობას.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლებს შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით. თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით. ხარჯის აღიარება ხდება მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ხარჯი აღარ ქმნის მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან როცა მომავალი ეკონომიკური სარგებელი არ შეესაბამება ან აღარ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში (ბალანსში) აქტივად აღიარების მოთხოვნებს.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები აღიარდება გაწეული მომსახურების საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით, თუ კომპანიას გააჩნია ამ თანხის სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში დაქირავებულ პირთაგან მიღებული მომსახურების საფუძველზე და ეს ვალდებულებები შეიძლება შეფასდეს საიმედოდ.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდი ფასი, შემცირებული იმ მოსალოდნელი დანახარჯების ოდენობით, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს

შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 8-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4-8 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 8-10 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5-10 წელი;

იჯარით აღებული ფართის კაპიტალური რემონტი - 10 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-4 წელი.

დ) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 15%;

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

ე) შეკეთებასთან ან განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისთანავე და მათი ჩართვა ხდება პერიოდის საოპერაციო ხარჯებში, თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში. კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა), არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები.

2018-2019 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის

წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.8677 ლარი;

1 EUR=3.2095 ლარი.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	1438	2981
ლარი საბანკო ანგარიშებზე	2056	6065
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	0	2267
ევროები ადგილობრივ საბანკო ანგარიშებზე		
ტერმინალით გადახდისას მიღებული ფული	135	729
სულ:	3629	12041

3.2. მოკლევადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
გაცემული სესხი	0	279960
სულ:	0	279960

კომპანიამ 2018 წელს გასცა სესხი რეზიდენტ შპს-ზე საბაზრო პროცენტით აშშ დოლარში, რომელიც გაუსტუმრეს კომპანიას 2019 წელს.

3.3. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მომსახურებიდან მოთხოვნები ლარში	15629	29137
მომსახურებიდან მოთხოვნები ევროში	7190	43126
სულ:	22819	72263

მოთხოვნები წარმოქმნილია სასტუმრო მომსახურების გაწევიდან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმართ. 2019 წლის ბოლოსათვის, კომპანიას არ აქვს გაუფასურებული დებიტორული მოთხოვნები.

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
საქონელი	16910	15646
დაუმთავრებელი წარმოება	0	43501
საწვავ-საცხები მასალები	805	664
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	20444	14571
სულ:	38159	74382

სხვა მატერიალური ფასეულობები შედგება სასტუმროს დასუფთავების დეპარტამენტის მიერ გასახარჯი საქონლისაგან.

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სხვა მიმდინარე აქტივები	1918	1282
წყენებული პრეტენზიები ლარში	3727	3727
სხვა	226	
სულ:	5871	5009

სხვა მიმდინარე აქტივები შედგება საწვავის ტალონების და ბარათების ნაშთებისაგან. წაყენებულ პრეტენზიებში დაფიქსირებულია ნაღდი ფული, რომელიც დაიკარგა 2018 წელს მომხდარი ქურდობის ფაქტით, რაზეც ქ. წყალტუბოს რაიონულ სამმართველოში აღძრულია საქმე.

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	2019 წელი ზრდა ან შემცირება	2019 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთები	178831			178831
დაუმთავრებელი მშენებლობა	398386	396163		2222
შენობები	4954607	8404	-236714	5182916
ელექტრონული და მექანიკური მოწყობილობები, გათბობის სისტემა, დიზელ- გენერატორები	441339	93848	-60411	407902
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები, ელექტრონული აპარატურა	34508	1373	-26125	59261
ავტო	265826	6228	-58154	317752
ინვენტარი	58073	23842	-8826	43057
მსუბუქი ავტომობილები	5408	0	-927	6335
ლიზინგით (ფინანსური იჯარით) მიღებული ძირითადი საშუალებები	34275	0	-4471	38745
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	58505	0	-11278	69783
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	21336	4664	-12582	29254
მცენარეები (ეზოს გამწვანება)	8478	8478	0	
სულ:	6459571	543000	-419487	6336059

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2019 წლის ბოლოს - 1908913 ლარი.

3.7. ბიოლოგიური აქტივები:

კომპანია არ ფლობს ბიოლოგიურ აქტივებს.

3.8. არამატერიალური აქტივები:

კომპანიის არამატერიალური აქტივები შედგება საბუღალტრო პროგრამისაგან, სასტუმროს ფუნქციონირებისათვის საჭირო სპეციალური პროგრამებისაგან და პროგრამული მოდულებისაგან.

3.9. სავაჭრო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
დავალიანება რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	108932	116079
დავალიანება არარეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ	0	54
სულ:	108932	116132

3.10. მოკლევადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მოკლევადიანი სესხები	164925	341675
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	0	3303965
სულ:	164925	3645641

გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილში დაფიქსირებული თანხა (რომელიც, მთლიანად სს „ბანკი ქართუსგან“ აღებული სესხების ნაწილებია) გადაიფარა სს „ბანკი ქართუსგან“ აღებული სხვა ახალი გრძელვადიანი სესხებით 2019 წლის იანვარში.

3.11. სხვა ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	104204	108923
გადასახდელი ხელფასები	8413	10252
მომსახურება არარეგისტრირებული ფიზიკური პირებისაგან		400
საპენსიო შენატანები	6307	
სულ:	118925	119575

ავანსები მიღებულია გასაწევი სასტუმრო მომსახურებისათვის;

3.12. გრძელვადიანი სესხები:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
სესხები ლარებში	127335	20841
სესხები აშშ დოლარებში	4298889	348886
სულ:	4426224	369727

3.13. სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

კომპანიამ შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიისაგან“ 2018 წელს სალიზინგო ხელშეკრულებით შეიძინა სატრანსპორტო საშუალება. აღნიშნული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება დაფარა კომპანიამ.

3.14. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2019 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	7523853	7523853
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	-5745926	-4986512
სულ:	1777927	2537341

კომპანიის კაპიტალი მისი დაფუძნებისას განისაზღვრა 200 ლარის ოდენობით, 2015 წელს კომპანიის 100%-იანი წლის მფლობელმა (რომელიც, მაშინაც იყო შპს „მე კომპანია“) მოახდინა კომპანიის კაპიტალის გაზრდა და 2015 წელსვე მოახდინა კომპანიის გაზრდილი კაპიტალის შევსება ქონებით (ქონების ღირებულება, კაპიტალში შეტანისას, შეფასებული იქნა მოწვეული ექსპერტ-შემფასებლის მიერ).

3.15. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2019 წელს კომპანიის ამონაგები ფაქტობრივად მთლიანად შედგებოდა სასტუმრო მომსახურებით მიღებული შემოსავლებისაგან.

3.16. მიწოდების ხარჯები:

	2019 წელი
რეკლამის ხარჯები	45368
ყოველთვიური მარკეტინგული მომსახურების ხარჯი	30431
საშუამავლო მომსახურების ხარჯები	2446
BookingSuite	163
booking.com	16841
facebook	3369
შპს მაისანატორიუმ.კომ	1639
ვებ-გვერდის ტექნიკური მომსახურება	600
მიწოდების სხვა ხარჯები	150
სულ:	101006

3.17. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2019 წელი
შრომის ანაზღაურება (საერთო-ადმინისტრაციული)	95799
შრომის ანაზღაურება (მატერიალური, ან არამატერიალური ფორმით გაცემული სარგებელი)	10033
საპენსიო დანარიცხები	10903
ოფისის ხარჯები	742
კომპიუტერის ხარჯები	227
პერსონალის დაზღვევის ხარჯები	2820
საწვავის ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	9142
tph.ge ჰოსტინგ, დომენ: tsaltuboplaza.ge და tph.ge ყოველთვიური მომსახურება	551
ფინანსური და ბუღალტრული მომსახურებები	38441
საგადასახადო ხარჯები	62131
საბანკო ხარჯები	6052
საბანკო ხარჯები კონვერტაციაზე	5837
საბანკო ხარჯები ტერმინალით გადახდისას	8615
მომხმარებლისათვის დაბრუნებული ქეშბეკი	10
მივლინების ხარჯები (საერთო-ადმინისტრაციული)	15
საერთო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	2275
წარმომადგენლობითი ხარჯები	4960
სხვა საერთო-ადმინ. ხარჯები	9345
სულ:	267897

3.18. საწარმოო დანიშნულების ხარჯები:

	2019 წელი
ძირითადი მასალების დანახარჯები / შეძენა (საკვები პროდუქტები და სასმელები)	347530
სასტუმროს დასუფთავების მასალების დანახარჯები / შეძენა	74583
სამეურნეო და ტექნიკური საქონლის ხარჯები	1714
სამზარეულოსა და ბარის ხარჯები	1056
შრომის ანაზღაურება პირდაპირი ხელფასი / თვითღირებულებაზე	556610
დაქირავებულ თანამშრომელთა კვება - არ არის იდენტიფიცირებული - დაბეგრული საშემოსავლოთი	52683
დაქირავებულ თანამშრომელთა ავტომობილით მომსახურება (დამით სახლამდე), რომელიც არ იბეგრება საშემოსავლო გადასახადით	13776
საწარმოო პერსონალის დაზღვევის ხარჯები	16565
საწარმოო ქონების დაზღვევა	1340
მიღებული ყოველთვიური მომსახურებების ხარჯები	7141
IT-ტექნიკური მომსახურება	8880
HRS-ის ტექნიკური მხარდაჭერის მომსახურება (Fidelio, Materials Control, Micros)	18314
ბუნებრივი აირის ხარჯი	31297
ელექტრო ენერგიის ხარჯი	100063
წყლისა და კანალიზაციის ხარჯი	26937
ტელეფონისა და ინტერნეტის ხარჯები	17297
საწვავის ხარჯები (საწარმოო დანიშნულების)	3325
საიჯარო ქირა (საწარმოო)	10398
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების ცვეთა	430086
საწარმოო დანიშნულების არამატ. აქტივ. ამორტიზაცია	6474
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების რემონტის ხარჯები	50826
საწარმოო დანიშნულების ძირითადი საშუალებების საექსპლუატაციო ხარჯები	5595
სხვა საერთო-საწარმოო ხარჯები	23166
ხარჯები სასტუმრო მომსახურების მიწოდებისას	9314
არასაოპერაციო ზარალი ძს ჩამოწერიდან (გამოსაყენებლად უვარგისი)	4956
გამხმარი მცენარეების ჩამოწერა	1731
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	23619
სულ:	1845276

3.19. საპროცენტო შემოსავალი:

2019 წელს კომპანიის საპროცენტო შემოსავალი შედგებოდა რეზიდენტ იურიდიულ პირზე გაცემულ მოკლევადიან სესხზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.20. საპროცენტო დანახარჯები:

2019 წელს კომპანიის საპროცენტო ხარჯები ძირითადად შედგებოდა სს „ბანკი ქართუსგან“ აღებულ სესხებზე დარიცხული პროცენტებისაგან.

3.21. სასამართლო დავები:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საერთო სასამართლოებში, კომპანიას არ გააჩნდა მიმდინარე სასამართლო დავები.

3.22. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრიდან 30 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.23. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2019 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

შპს "წყალტუბო კლაზა"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული 1 GEL			
	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31. 12. 2019	31. 12. 2018	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	72394	446716	
ფულადი სახსრები	3629	12041	3.1
მოკლევადიანი სესხები		279960	3.2
სავაჭრო მოთხოვნები	22819	72263	3.3
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	1916	2721	
მარაგები	38159	74382	3.4
წინასწარ გადახდილი გადასახადები		340	
სხვა მიმდინარე აქტივები	5871	5009	3.5
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	6528183	6367808	
ძირითადი საშუალებები	6459571	6336059	3.6
ბიოლოგიური აქტივები		3666	3.7
არამატერიალური აქტივები	68612	28083	3.8
სულ აქტივები:	6600577	6814524	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	396426	3881348	
სავაჭრო ვალდებულებები	108932	116132	3.9
მოკლევადიანი სესხები	164925	3645641	3.10
საგადასახადო ვალდებულებები	3644		
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	118925	119575	3.11
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	4426224	395835	
გრძელვადიანი სესხები	4426224	369727	3.12
სხვა გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები		26108	3.13
<i>სულ კაპიტალი:</i>	1777927	2537341	3.14
საწესდებო (სააქციო) კაპიტალი	7523853	7523853	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	- 5745926	- 4986512	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	6600577	6814524	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი



გიორგი ორთოძე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "წყალტუბო პლაზა"

მოგება- ზარალის, სხვა სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ანგარიშგება

	ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი		
	2019	2018	
ამონაგები	2153295	2220694	
მოგება ან ზარალი რეალიზაციიდან	2153295	2220694	
სხვა საოპერაციო შემოსავლები	77492		
სულ საოპერაციო შემოსავლები:	2230787	2220694	3.15
მიწოდების ხარჯები	101006	45726	3.16
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	267897	395267	3.17
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	1845276	1653913	3.18
სულ საოპერაციო ხარჯები:	2214179	2094906	
საპროცენტო შემოსავალი	16452	14586	3.19
დადებითი საკურსო სხვაობები	221641	29692	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები		553	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	238093	44831	
საპროცენტო დანახარჯები	481772	404494	3.20
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	2726		
უარყოფითი საკურსო სხვაობები	528645	141449	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	972	8614	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	1014115	554557	
მოგება დაბეგვრამდე:	- 759414	- 383938	
მოგების გადასახადის ხარჯი			
სულ საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი:	- 759414	- 383938	
სულ საანგარიშგებო პერიოდის სრული შემოსავალი:	- 759414	- 383938	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2537341	2921279	
ახალი აქციების გამოშვება / კაპიტალის ზრდა			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი):			
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1777927	2537341	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი



გიორგი ორთოიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "წყალტუბო პლაზა"

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL.

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	2503765	2479809
სხვა შემოსულობანი საოპერაციო საქმიანობიდან		42741
მიმწოდებლებზე გაცემული ფულადი სახსრები	- 1276565	- 834118
გაცემული შრომის ანაზღაურება	- 549110	- 537112
სამიწვინებო ხარჯების ანაზღაურება		- 1284
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	- 442342	- 449924
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	- 32963	- 77205
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	202785	622907
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	- 266947	- 78290
მიღებული პროცენტები		99
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	- 266947	- 78191
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:		
სესხების აღება	4821112	669975
სესხების დაფარვა	- 4318771	- 841614
ფინანსური იჯარის (ლიზინგის) ვალდებულებების დაფარვა		- 26296
გადახდილი პროცენტები	- 447816	- 373826
სხვა შემოსულობანი / გაცემები საფინანსო საქმიანობიდან (ნეტო)		16
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	54525	- 571745
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	1225	1123
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	- 8412	- 25906
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	12041	37947
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	3629	12041

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2020 წ.

დირექტორი



გიორგი ორთოიმე

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.